წელიწადი 1-ლი
გაზ. ფასი 10 კ.
ტელეფონი №76.
პარასკევი 16 ივნისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით
ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული
განცხადება ღირს ერთი-ორად
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის
2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისში ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5 8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 55
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
№ 55

დავით ბესარიონის-ძე ხელთუფლიშვილი დებითურთ გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გადაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი დის ელენე ბესარიონის ასულის

ხელთუფლიშვილის

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე. გამოსვენება და დაკრძალვა მიცვალებულის კვირას დილით 9 საათზე

ღრმად დამწუხარებულნი: დედა მატრონა ქუთათელაძისა, რძალი ნადეჟდა ივანეს ასული ქუთათელაძისა, ძმები იოსებ და გედეონ გიორგის-ძე ქუთათელაძენი და ძმის შვილები თინა და გოგი ქუთათელაძენი და, ნატალია გიორგის ასული ხაინდრავასი უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფ. ივანდიდში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის ძვირფას

ვლადიმერ (ვალოდია) გიორგისძის ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლათ შაბათს 17 ივნისს დილის 11 საათზე

—ქ. ქუთაისი—

ამ დღეებში ქ. ქუთაისში
გამოვა
წმინდა სამხატვრო სალიტერატურო
ჟურნალი
„ატმის ყვავილები“
მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა
მგოსან-ბელეტრისტები
მასალები მიიღება შემდეგი მისამართით: ქუთაისი „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ჟურნალ „ატმის ყვავილებისათვის“
რედაქტორები: (ლადო მაჭავარიანი.
(ალ. ხარატიშვილი.
გამომცემლობა: „**სირინოზი**“.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი
ხუთშაბათიდან 15 ივნისიდან ნაჩვენები იქნება
თავადის ქალი ლარისსა.
მხატვრ. დრამა 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და ქერუვიმოვის მონაწ.
ორი ტურფა სახუმარო 8-ნ სკანდალინის მონაწ.

ანონსი: 19 ივნისს 1917 წ.
ცოდვისა და სისხლის ხალხი
დღიურ პრო-უარამიდან მონ. ა. ი. ტერეკი და სხვა.
მოტყუებული ძუნწი. კომიკური.
ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი
ხუთშაბათიდან, 15 ივნისიდან
შეურაცხყოფილი ვენერა
კინო-პოემა 5 ნაწ. (ციკლი: დიდება უგონობას) მარია რუტცისა და ხოხლოვის მონაწ.
ოლიას ვერ მოარჯულებ! სახუმარო.

ანონსი: 19 ივნისიდან 1917 წ.
მეუღლე თუ დედა?
2 სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. გერმანოვისა ბრისკვისა და რიმსკისა.
მოსამსახურე №3 კომედია 2 ნაწ. მონაწ. სკანდალინის.
ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

გამოცდილი
მასწავლებელი
(სტუდენტი) ამზადებს მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისთვის.
ნახვა შეიძლება ფერაძისა და კარნაუხოვის სტამბაში დილის 11 საათიდან 3 ს.
თ—1

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 10—2 საათ. დასაღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტეშინსის სახლი

დოქტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

დ ღ ე ს:

წერილები:

ტრ. ჯაფარიძე:—დროა შევერთდეთ.
ივერიელი—სად უნდა მოითხოვოს ქართველმა ერმა ავტონომია.
ირ-დი-საქართველოს თავისუფლება.
მ. ბუაჩიძე—რა აძულებს ხალხს სამღვდელოებას?
სოფლელი—გლეხის ნაამბობი.
რუსული პრესა.

ცნობები:

საქართვ. ეროვნ.-დემ. პარტიის კონფერენცია. რევოლუციის ამბები. უცხოეთი. რუსეთი. წერილი რედ. მიმართ. ნეკროლოგი (ე. ხელთუფლიშვილი). მსოფლიო ომი. ფეოდოსიაზე თავდასხმა შემოწირულება. ახალი ამბავი.

ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიაში ჩაწერა

შეიძლება ამავე პარტიის სალექციო დარბაზში (ვორონცოვის ქ. ოცხელის შენობა, ბაღის პირდაპირ). დილის 10—2 საათამდის და საღამოს 5—10 საათამდის და აგრეთვე

გაზ. „ჩვენი ქმეყნის“ კანტორაში

(თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი) დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

ხელის მომწერთა — საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

ქუთაისის პეტრე-პავლეს

ეკლესიის სამრევლო საბჭო ამით აცხადებს, რომ 18 ივნისს დღით კვირას ზემოხსენებულ ეკლესიაზე მოხდება ფარული კენჭის ყრით არჩევა კანდიდატისა მედავითნის ადგილზე ამისათვის სთხოვს საბჭო ყველა სრულ-წლოვანთ ამ ეკლესიის მრევლთგანურჩევლათ სქესისა მიიღოს მონაწილეობა არ ჩევნებში.

გიორგი ბაზაძე.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვეპისა.
ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

პარასკევს 16 ივნისს 1917 წ. გაიმართება საუკეთესო საღამო მთელი სეზონში: გრანდიოზული ბენეფისი გამოჩენილ ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი,

მხოლოდ დღეს პირველი ბენეფისია თეთრი ხალხისა იტალიელების ხელოვნებიდან მოდინის და ლუიდინისა. დღეს პირველჯერ ცეცხლში ცირკის თაღთან

სიკვდილის რგოლი

ჰაერში მოქმედებას შეასრულებს გაოქმული ბენეფიციანტები ბელგიელთა დასისა

5 კლიკეტი.

წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობს მთელი ცირკის დასი.

დღეს 27 დღეა ჩემპიონ ქალთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს იჭიდავებს 4 წყვილი. 1 ქალბატონი პეტერსონი და აზელკროტი 2. ბელანია და რომანოვა 3. ვახტუროვა და სულეიმანი. 4. კავკასიურად იჭიდავებს ლოლაძე და პატარა გვრელი დასაწყისი წარმოდგენისა საღამოს. 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

დროა შევერთდეთ!

ამ ცოტა ხნის განმავლობაში ქალაქის ხმოსნების ახალი არჩევნები მოხდება. დროებითი მთავრობის ახლად გამოცემული კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, როგორც გამოირკვა ამ დღეებში მოხდენილი მცხოვრებთა აღწერით, ოცდაორი ათასი სული ქალაქის მცხოვრებლებისა და ჯარის კაცები, რომელთა რიცხვი სულ ცოტა ათი ათას მაინც შეადგენს. ერთი სიტყვით, არჩევნები საყოველთაო იქნება. ახალი არჩევნების პრინციპი ძლიერ მოსაწონია და მის ცხოვრებაში გამეფებას წრფელის გულით უნდა მივესალმოთ. ყოველ შემთხვევაში ახალი კანონის შეფასებას და მის სავსებით აწონ დაწონას დღეს ნუ შევუდგებით, რადგან ეს უადგილოც იქნება და პრაკტიკული შედეგიც არ ექნება. დღეს ჩვენთვის საინტერესო ის არის, როგორი შემადგენლობის საბჭო ეყოლება ქალაქს.

ვინც დაკვირვებია დღევანდელ ცხოვრებას და ვისაც გათვალისწინებული აქვს მოქალაქეთა ახლანდელი სულიერი განწყობილება, ის დამეთანხმება, რომ დღევანდელ პირობებში მომხდარი არჩევნები პარტიულ საბჭოს შექმნის პროპორციონალური პრინციპი, რომელსაც გულისხმობს ახალი კანონი, ფაქტიურად არაფერ შედეგს არ მოიტანს ამიტომ, რომ 66 ხმოსანში, რომელიც უნდა იქნეს არჩეული, ოთხი-ხუთი კიდეც რომ გამოერიოს სხვა პარტიისა, ეს საქმეს არსებითად ვერ შესცვლის. ჩვენ უნდა შევუთანხმდეთ იმ აზრს, რომ დღევანდელ პირობებში მომხდარი არჩევნები პარტიულ საბჭოს შექმნის და ერთი პარტიის ხელში ქალაქის თვითმართველობის ყოფნა საქმისთვის არ ივარგებს და აი რატომ.

ახალ საბჭოში უნდა იქნეს 66 ხმოსანი. ხმოსანთა შემადგენლობაში უნდა იყოს ყოველი პროფესიის მცოდნე კაცი. საჭიროა სპეციალისტები, საჭიროა ყოველი დარგის კარგად მცოდნე წარმომადგენელი ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ ხმოსანთა შემადგენლობა, რაც შეიძლება, საუკეთესო ძალებისაგან იყოს მოწყობილი; ქალაქის თვითმართველობის წესდებაც და პრაქტიკული ცხოვრებაც ამას მოითხოვს. გულწრფელად და სრულიად მოურიდებლათ უნდა აღვიაროთ, რომ არც ერთ პარტიას ქუთაისში არ ყავს იმდენი მიმდევარი, რომ მათში 66 ხმოსნათ გამოსადეგი კაცი ამოირჩიეს.

66 კაცს იმოვის ესა თუ ის პარტია, მაგრამ ეს პირები რომ ქუთაისში საუკეთესონი იყონ, და მათ გარეშე დარჩენილ პირებში. მათზე უკეთესი სხვა პარტიის კაცი არ მოიპოვებოდეს, მე დარწმუნებული ვარ, ამას არც ერთი პოლიტიკური პარტია არ იტყვის და არც გულში გაივლებს.

ყველანი დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმ ჭეშმარიტებაში, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიებს ქუთაისის აყვავება უნდათ; ჩვენში ყველა პარტია პროგრესიულია და დემოკრატიული, ჩვენდა სასიამოვნოდ და სასიქადულოდ, საქართველოში არც არისტოკრატიული და არც რეგრესიული პარტია არ არსებობს. ამიტომაც ქალაქის საქმეებში, ეროვნულ საკითხში, კულტურულ ინტერესებში და საერთოდ პროგრესიულ მუშაობაში ჩვენში არსებული პარტიების შეერთება და შეთანხმებით მუშაობა შესაძლებელია. ამიტომ დღევანდელმა არჩევნებმა რომ რომელიმე პარტია აიძულოს უსათუოდ 66 კაცი თავისი წრიდან გამოიყვანოს ქალაქის მამა-პატრონად, ეს სასარგებლო არ იქნება, რადგან სხვა პარტიაში მყოფი სასარგებლო პირები, რომელთაც ღირსეულად შეუძლიათ შეასრულონ ხმოსნის მოვალეობა, საბჭოს გარეშე დარჩებიან.

არის კიდევ მეორე გარემოება, რომელიც პარტიულ საბჭოს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს. ქალაქის საბჭო უსათუოდ უნდა იყოს მოქალაქეთა ნდობით აღჭურვილი. ქალაქის საბჭოს უნდა ენდობოდეს მთელი მცხოვრებლები და არა მათი რომელიმე ნაწილი.

ქალაქის საბჭოს ნაყოფიერი მოქმედება მჭიდროდ დაკავშირებულია მცხოვრებთა ნდობაზე და თუ ნდობა არ არის მაშინ გულითადი მუშაობაც შესაფერ ნაყოფს ვერ მოიტანს. პარტიულ საბჭოს რომ მცხოვრებთა სრული ნდობა არ ექნება და მუდმივ ათას გვარ ეჭვებისა და უთანხმოების გაჩენას საბაბი მიეცემა, ამაში, მე მგონი, ყველა დამეთანხმება, ვისაც კი ქუთაისში უცხოვრია და აქაური ცხოვრების ალღო აუღია.

ახალი საბჭო წელიწად ნახევრით ირჩევა. მართალია ეს დიდი ვადა არ არის, მაგრამ ჩვენს უკან ჩამორჩენილ ქალაქის ცხოვრებას წელიწად-ნახევრის მუშაობაც დიდათ სჭირდება, მით უმეტეს, რომ ქალაქის ცხოვრების გასაუმჯობესებელი პროექტები დამზადებულია და, როგორც კი გათავდება ომი, საქმეს დაჩქარება ეჭირება და განხორციელებას უნდა შეუდ-

გენ. ისეთი არსებითი საქმეებია რიგში ჩამომდგარი, რომ, როგორც უნდა დაბოლოვდეს ომი, ავად თუ კარგად, ქალაქის საქმეები უნდა მოვაწყოთ. ქალაქი მრავალ მხრივ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა დიდი და ენერგიული წინასწარი მუშაობა, რომ ომის შემდეგ ქალაქის საქმეების მოგვარება სწრაფის ნაბიჯით წავიდეს წინ. ამიტომაც ძლიერ უნდა ვეცადოთ, რომ ამ დღეებში ასარჩევი საბჭო, თუმცა ის ცოტა ხნის ვადით ირჩევა, მაგრამ მაინც შესაფერი შემადგენლობის იქნეს.

ახალმა არჩევნებმა რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვაყენოს და ქალაქის საქმეებიც არ შეაფერხოს, საჭიროა, ჩემის აზრით, ასე მოვიქცეთ. ყველა პარტიის წარმომადგენლებმა შეადგინონ ერთი საერთო სია, რომელშიაც მოაქცევენ 66 პირს ყოველი პარტიიდან და პარტიის გარეშე მყოფ წრიდანაც. ამ 66-ში იყოს ყოველი პროფესიის და დარგის წარმომადგენელი. არჩევის დროს იხელმძღვანელონ ისეთი თვისებებით, რომელიც აუცილებელია ხმოსნისთვის, მაგ., პირველ ყოვლისა, საქმის უნარი, საზოგადოების ნდობა, შრომის მოყვარეობა, საზოგადო საქმისადმი ინტერესი. თუ ეს თვისებები აქვს ხმოსნათ განზრახულ კანდიდატს, პოლიტიკური მიმართულება და მსოფლმხედველობა როგორიც უნდა ექნეს, საქმეს არ ავნებს, რადგან ეს ყველამ ვიცით, რომ ჩვენში პოლიტიკურად არა საიმედო და მსოფლიო რწმენით მავნე პირი სულ არ არის და რომ იქნეს ხმოსნათ კი არა, მცხოვრებლადაც არ გამოდგება. ამნაირად შედგენილი სია, რომელშიაც მოქცეული იქნება 66 ხმოსნათ გამოსადეგი ყოველი წრისა და მიმართულების კანდიდატი: საზოგადოების ნდობას სავსებით დაიმსახურებს. თუ ასეთი სია შედგება, საზოგადოება ერთხმათ ასეთ სიას მიიღებს და თავის დასტურს მისცემს. თუ პრინციპიალურად ამ აზრს მიემხრობა მკითხველი და ასეთ წინადადებას ნიადაგი აქვს ჩვენს სულიერ განწყობილებაში, მაშინ ყოველი პარტიის კომიტეტში იქნეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ განვახორციელოთ ტეხნიკურად ასეთი სიის შედგენა. შეიძლება ყოველმა პარტიამ ცალკე პარტიული სია შეადგინოს და შემდეგ ამ სიებიდან ამოვირჩიოთ რამდენიმე პირი და საერთო მოლაპარაკების დროს ერთ სიაში შევიტანოთ. ეს სია იქნება ყველასათვის შესაწყნარებელი ამით ჩვენი ქალაქის საქმეებსაც გავაკეთებთ და სხვასაც კარგ მაგალითს მივსცემთ.

ვისაც ქალაქის საქმეები დიდათ აინტერესებს და საზოგადო საქმეს პარტიულ ინტერესებზე მაღლა აყენებს, დარწმუნებული ვარ ამ წინადადებას ყურადღებით მოეპყრობა და ეცდება საერთო საქმე სასარგებლოთ მოაგვაროს. მკითხველო, ბევრი სამუშაო გვაქვს, ბევრი მტერი გვყავს, მოყვარე არსად სჩანს და შინაურ ბრძოლისათვის არა გვცალია; ენერგია დავზოგოთ და საერთო საქმეში ერთად ვიმუშავოთ, შეთანხმება მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

დროა შევერთდეთ!

ტრიფონ ჯაფარიძე.

საქართველოს თავისუფლება

განვლილმა ვაებამ, მონურმა ცხოვრებამ ძნელი და რთული პრობლემებ წარმოგვიდგინა.

აწმყო დრო უარყოფით ხვდება ჩვენს წარსულ მოღვაწეობას და ახალ რეალ საშემოქმედო მუშაობას გვთხოვს.

ბედნიერების ლოდინში ყოველ ჩვენგანს თან სდევს ერთგვარი პსიქოლოგიური „შიში,“ ვაი თუ შავბნელმა რეაქციამ გაუფურჩქვნელად მოჰკლას საერთო თავისუფლება და ისევ ბოროტება აღადგინოსო.

ამ მოსალოდნელობის სინამდვილე გვიჩვენებს. რუსეთის რევოლუცია განაგრძობს მძლავრათ მსვლელობას და ისივ „აჯანყების“ ნაპერწკლებს აბნევს. რევოლუციური რუსეთი მწარე განსაცდელშია რადგან ახალცხოვრებისთვის მტკიცე საძირკველის ჩაყრა ძნელდება. ასეთ ქაოტიურ დროს რუსეთის ყველა ხალხი და ერი უმეტეს სიფრთხილეს ეძლევა თავის ცხოვრებას ეხლავე იწესრიგებს.

დრო გულუბრყვილობისა საერთაშორისო იმედებზე და სამართლიანობაზე დაყრდნობისა დღეს თეთრ სინამდვილის წიაღში გაჰქრა.

აწ ყველა დღიურ რეალ საფუძვლებს ემყარება ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ. რუსეთის თვით უმნიშვნელო უისტორიო ტყეთ მობინადრე ერებიც კი საკუთარ ავტონომიაზე ლაპარაკობენ. თავისუფლებას თხოულობს ყველა ნაკლებ კულტურის მქონე ხალხი (მთიელნი, ყირგიზები, ტუნგუზები და ბურიატები). კულტურულმა ერებმა უკვე აღიდგინეს ეროვნული სახელმწიფოება საკუთარ ავტონომიების გამოცხადებით. ლიტოვეთი, ესტონეთი, ფინეთი და უკრაინა.

ამ ერებმა უკვე გაიტანეს წილი რევოლუციისგან და გაიჩინეს თავის სახელმწიფური აღმასრულებელი ძალები.

დრ. მმართველობას ერებისთვის თუ თანხმობა არა, უარიც არ უთქვამს, რადგან დემოკრატიული რუსეთი ყველა ხალხის და ერის თავისუფალ ცხოვრებას აღიარებს.

ამა თუ იმ სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება და ხელის მომართვა დამოკიდებულია თვითონ ხალხის აქტივობაზე. ურგები და უსაფუძვლოა, რომ ქვეყნათ ქუხდეს რომელიმე მაღალ პრინციპის ხმა, თუ იგი ცხოვრების რეალ ჰახრაკად არ იქცა.

საშინელ აწეწ-დაწეწის და გაწევ გამოწევის დროს, ჭეშმარიტად, ქართველებს ყველაზე წინ ჩვენი თავი გვაინტერესებს და ჩვენი ყოფა გვაფიქრებს. ღრმად დავაკვირდეთ ჩვენს ცხოვრებას, პირისპირ დავდგეთ ქართველ გლეხთან და ის თვითონ გვამცნობს, თუ რა გვჭირია. რანი ვიყავით 90 წლის წინათ? მაშინ ქართული ცხოვრება **სავსე ოჯახს** წარმოადგენდა. თითოეულ გლეხს ჰქონდა ცხოვრების საკუთარი სალარი. 1815 წ. მთავარ მართებლის მოხსენებით საქართველოში ყოველ საშუალო შეძლების კაცს ჰყავს 6 ძროხა, ცხვრის ფარა, ორი უღელი სამუშაო ხარი, ზვარი, სადგომი და სამზარეულო სახლი. ოფიციალი ცნობებიც, რომ არ გვიმოწმებდნენ, ჩვენც საკმაოთ ვიცით, რომ ამ 90 წლის უკან ქართული ცხოვრება სულ სხვა იყო. ენერგიით სავსე ქართველი კაცი მაშინ შესახედავათ მომხიბვლელი იყო. უკანასკნელ ღარიბ მოსახლეს თავის საკუთრებაში ჰქონდა, კარგი ეზო, ბაღი, ზვარი რამდენიმე ძროხა (მთის მცხვრების ფარა), სუფთა საწოლი სახლი და პურის საცხობი თონე და სხვა.

დღეს კი რა არის?

უკიდურესი სიღატაკე. ქართველ გლეხს წინად ჰქონდა თავისი ეროვნული ტანსაცმელი, კვირა უქმე დღე და ყრილობებზე იგი სუფთათ ჩაცმული დარბაისლურად გვევლინებოდა.

ახლა? ქართველ გლეხს აღარ გააჩნია საკუთარი ეროვნული ტანისამოსი, სცხოვრობს ქოხში უსუფთაოდ, არა ჰყავს ხარი და უმეტეს წილად შიმშილს განიცდის. ასეთ სიდუხჭირეში გვყავს ჩვენი ხალხი.

გასაკვირი არ არის, რომ ამჟამად ვერ ვამაყობთ ქართველ ხალხის ძლიერ ნებისყოფით და სიძლიერით.

რათ მოხდა ეს ასე?

პასუხი ბევრჯელ თქმულია.

ერთ საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხის ცხოვრებას ძლიერი ხუნდები ედო. ქართველ გლეხთან ვერვინ ბედავდა სამზრუნველოთ და დასახმარებლათ მისვლას საშუალებას ძველი რეჟიმი გვისპობდა.

რაც გუშინ იყო ის დღეს არ არის. ყველა ელირსა ბოროტების დასამარებას.

მყარდება ახალი ცხოვრება: ახალი ცხოვრება თავისთავად არ იქმნება. იგი მოითხოვს ძლიერ შეგნებულ შრომას და მოქმედებას.

ქართულ წამების დასამთავრებლად და სიდუხჭირის გადასალახავად უპირველესი პირობა საქართველოს შინაური თავისუფლების მოპოვება. სიტყვიერი შეთანხმება ამ დიად კითხვის გარშემო ქართველ ხალხში უკვე მოხდა. ახლა გვჭირია საქმით შეთანხმება და სურვილის ხორც-შესხმა. რაც დრო გაუშვით, შეცდომა იყო. აწ მაინც შევუდგეთ ეროვნულ ორგანოების შექმნას. ჩვენ ახლავე უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოში შემოღებულ იქმნას ეროვნულ საფუძვლებზე და ადგილობრივ პირობებზე დამყარებული ერობა, ადგილობრივი სასამართლო და სკოლა. უნდა მოვითხოვოთ უფლებები გზების გაყვანისა, ადგილობრივ ხარჯთაღრიცხვისა და სამკურნალო ფუნქციებისა.

დაყოვნება უაზრობაა რადგან დრ. მთავრობა მთელ სახელმწიფოს ცხოვრებას ახალ საფუძველზე ჰქმნის და ჩვენ ამ დროს განზე რომ დავდგეთ დიდათ დავაშავებთ. ერის განკითხვის დღეს ჩვენს თავს უნდა მოუაროთ...

დღევანდელი ჩვენი ლოზუნგია: საქართველოს შინაურ თავისუფლების საქმედ ქცევა. შევქმნათ ეროვნული ორგანოები.

საქართველოს თავისუფლება, — აი, უძლეველი და მუდამ გულით სატარებელი სიტყვები, რომელმაც უნდა გაახაროს ჩვენი წამებული ხალხი და აღადგინოს დანგრეული ცხოვრება.

ქართველი, რომელიც ენერგიულათ არ იმოქმედებს ამ თავისუფლების მოსაპოებლად, იგი ყოველთვის თავის მოვალეობის გარეშე იქნება და მისი სინდისი ერის ტანჯვის წარმოდგენის დროს საშინელ შფოთვაში დარჩება.

ჩქარა გავცილდეთ უნიადაგო გზას. შევის-სისხლხორცოთ ერის, დატანჯულ ხალხის ძახილი. ის გვავალებს: გვიშველეთ, სიდუხჭირეში მყოფთ ნუ შეგვიკეცთ მომავლის იმედსო.

ირ—დი.

რუსული პრესა.

„სოც. დემოკრატი“ (მოსკოვის) სწერს:

„ომის დასაწყისში იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მწერლებმა მთელ სამყაროს ყურები გამოუჭედეს, რომ ომი დაიწყეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მონობისგან დაეხსნათ პატარა ეროვნებები. ეს ლოზუნგი წამოაყენა რუსეთმა, მისმა მოკავშირეებმა და აგრეთვე ცენტრალ სახელმწიფოებმაც.

ვინ რა გააკეთა ამ მშვენიერ ლოზუნგისთვის?

არავინ, არაფერი.

ჩვენ ძალაში ვტოვებთ ყველა ხელშეკრულებათ, რომელიც თვითმპყრობელობის დროს უფლებას გვაძლევდა ჩვენ პროტექტორატი დაგვემკვიდრებია მცირე და უძლურ ეროვნებებზე. ჩვენ განვაგრძობთ „ძლიერთა უფლებით“ სარგებლობას, მონობაში ვტოვებთ პატარა ერებს და ვყვლეფთ უძლურ ხალხებს. ამას ვშვრებით ჩვენ იმ დროს, როდესაც სამინისტროში გვყავს სოციალისტი მინისტრები, 1907 წ. რუსეთის და ინგლისის იმპერიალისტურმა მმართველობებმა შეკვეცეს დამოუკიდებელ სპარსეთის სახელმწიფური უფლებები და თავის პროტექტორატი მოახვიეს. ჩრდილო სპარსეთი რუსეთს ჩაუვარდა ხელში, ხოლო სამხრეთი ინგლისს. რის შემდგომაც იქ ჩვენ საკუთარი ,,წესრიგი გავამეფეთ''.

როდესაც მოგვესურვებოდა, ვსცვლიდით სპარსეთის მინისტრებს. ჩვენ შევქენით ,,სპარსეთის ყაზახთა'' რაზმი. სპარსეთში ვგზავნიდით დამსჯელ ექსპედიციას ცნობილ პოლკ. ლიახოვის მეთაურობით. ასევე იქცეოდნენ ინგლისელნი თავის ნაწილში. რუსეთის მთავრობა დაღარიბებულ სპარსეთს უმნიშვნელო საფასურში ართმევდა სხვადასხვა დიდ მნიშვნელობის კონცესიებს.

ასე ხდებოდა რევოლუციამდე, მაგრამ მის შემდეგაც არაფერი შეიცვალა.

ამ დღეებში ინგლისისა და რუსეთის დესპანებმა თეირანში განაცხადეს, რომ ყველაფერი ძველებურათ იქნება ე. ი. რუსეთ ინგლისის პროტექტორატი სპარსეთში ძალაში რჩება.

ახლა დეპეშა იუწყება, რომ სპარსელებმა დაადგინეს სთხოვონ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გააუქმოს 1907 წ. ხელშეკრულობა, რომელიც სპარსეთს რუსეთ-ინგლისის იმპერიალისტებს უმონებს. ვინ დაუჯერებს ჩვენს კეთილ-შობილურ განცხადებათ, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ანექსიისა და ყველა ხალხს უფლებას ვაძლევთ თავის თავს საკუთარ ძალით მოუაროს? ან რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიას შეუძლიან ასეთ დროებით მმართველობას ნდობა გამოუცხადოს.“

სად უნდა მოითხოვოს ქართველმა ერმა ავტონომია?

ვინც დაჰკვირვებია აწინდელ ქართულ ეროვნულ პრესას, იმისთვის ცხადია, რომ პირველი საფეხური ქართველი ერის პოლიტიკურად წინ წაწევისა არის ავტონომია და, მაშასადამე, ყოველი გონიერი ქართველი დღე მუდამ უნდა ზრუნავდეს და ფიქრობდეს იმაზე, თუ როგორის გზით მოუპოვოს თავის სამშობლოს ავტონომია. ღვთის წყალობით, ამ ბოლო დროს უკვე გაჩნდენ ეროვნული კრებები, სადაც იმართება სჯა-ბაასი მიმდინარე საკითხზე. იბადება კითხვა: სად უნდა მოვითხოვოთ ჩვენი ავტონომია?

უმეტესობის ყურადღება მიპყრობილია რევოლუციურ დროებით მთავრობაზე, რომელიც დიდის თანაგრძნობით ეკიდება დამონებულ ერების მოთხოვნილებას. ხოლო უმცირესობა მოითხოვს, რომ განხორციელებულ იქნეს 1783 წლის საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულობა, თუ რუსეთის დამფუძნებელი კრებაზე არა, საერთაშორისო კონგრესზე მაინც, სადაც ქართველი ერის წარმომადგენლებმა უფლებრივად უნდა წარადგინონ და მოითხოვონ, აღნიშნულ ხელშეკრულობის განხორციელება. ჩვენც ამ უმცირესობის აზრს ვემხრობით. ქართველი ერის გონიერმა წარმომადგენლებმა ახლავე უნდა იფიქრონ ამაზე, გამართონ ხშირი კრებები, დაყოვნება აღარ შეიძლება, იქონიონ სჯა-ბაასი, შეადგინონ ვრცელი დასაბუთებული მოხსენება, რომელიც გამბედავი და უნივერსალური ცოდნით აღსავსე წარმომადგენლების ხელით წარუდგინონ, ჯერ დამფუძნებელ კრებას და მერმე, თუ საჭირო იქნა, საერთა შორისო სამშვიდობო კონგრესს.

რუსეთის აწინდელი რევოლუცია და რუსეთში მცხოვრებ დამონებულ ერთა ბედი როგორ დამთავრდება და გადაწყდება, ეს ჯერ-ჯერობით გამოცანაა.

ის კი ცხადია ყველასათვის, რომ მსოფლიო ომის დამთავრებას საერთაშორისო კონგრესი მოჰყვება და ამ რიგად მეორე ინსტანციის კარები ღია იქნება ქართველთათვის. იქ, იმ კონგრესზე, უნდა ვიომოთ მთელის ძალ ღონით, რომელი ბრძოლის ფუძედ გვექნება 1783 წლის ხელშეკრულობა. ამაზე უკეთეს შემთხვევას ქართველი ერი ძნელად თუ იშოვნის!!..

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთის ახალი მთავრობა სიმართლის თვალით შეხედავს ჩვენს მოთხოვნილებას და ქართველებს დაგვიბრუნებს თავისუფლებას. ჩვენ ჩვენის ნებით ვეძმეთ რუსებს 1783 წლის ხელშეკრულობის სახით და, მაშასადამე, საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის საკითხი არა მოწყალების საკითხია, არამედ პირდაპირი იურიდიული ხასიათის მოთხოვნა.

ივერიელი.

რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

დეპეშები

პეტროგრადი. ივნისის 9. (გაგრძელება). მე ბრალს მდებენ ბურჟუაზიული გაზეთები, მაგრამ მე რომ გერმანეთის გაზეთების ქების ფურცლები მომეტანა, რომელთაც ისინი ერთ რუსეთის პარტიას უძღვნიან, მაშინ შეგეძლოთ გეწოდათ ჩემთვის სალახანა. (მქუხარე ტაში) მე ბრალ მდებენ უკრაინის ყრილობის ნებადაურთველობაში. სიცრუეა, მე არ დავთანხმდი ყრილობის წევრების გაგზავნაზე, დელეგატებს კი ჯარის კომიტეტთაგან განთავისუფლების ნება დავრთე. ვიდრე ბრალს დამდებდნენ, საქმე უნდა იცოდნენ. ფინეთის და უკრაინის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ მე დაბეჯითებითი თხოვნით მივმართე მათ დემოკრატიას: ნუ დაარღვევენ ბედნიერებისა, თავისუფლების და საერთო მშვიდობიანობის მოსაპოებლად მებრძოლ ერთეულ ძალას.

რუსეთთან ჩამოშორება-- მათი დაღუპვაა, რაც შეეხება სომხეთს, ჩვენ მის დაცლა არ შეგვიძლიან, რადგან უჩვენოთ თურქთა და ქურთების მახვილი ამოჰხოცავთ სომხებს. (მქუხარე ტაში). დღეს მეციხოვნეთა შორის ანარქია და თვითმსაჯულობა სწარმოებს. მე მოუწოდებ ყველას, ვისაცკი ძალუძს მხარი დაუჭირონ სამხედრო მინისტრს ზურგში წესრიგისა და სიწყნარის დასამკვიდრებლად. მე ყოველთვის უიარაღოდ ვიბრძვი იმ ბოროტებს წინააღმდეგ, რომელიც საზოგადო და დემოკრატიულ ორგანიზაციებს საფრთხეს უმზადებს, და ყოველთვისაც გამარჯვებული ვრჩები. მაგალითად სევასტოპოლი შეგინძლიანთ აიღოთ. იქ დროებით მთავრობის ბძანება 27 საათზე ადრე იქმნა სისრულეში მოყვანილი. (მქუხარე ტაში). ჩემი განკარგულებანი--უმეტესად რუსეთის დემოკრატიის ნების გამომხატველნი არიან. ვიდრე მე ძალა მაქვს მე არ შევიტან ჯარში დაშლას. ამ გზით მივისწრაფით მე და დემოკრატია. (მქუხარე ტაში) ჯარი ძლიერი უნდა იყოს. ჯარმა ნება არ უნდა მისცეს, რომ ახლად გამოჩენილი სოციალისტი, ბავარიის პრინცი, მძიმე ზარბაზნიანთა დივიზიით ემუქრებოდეს მას. განა ჩვენ ზარბაზნებისა გვეშინია. (ხმები: არა, არა) ლენინს მოჰყავს გერმანელთაგან გაზიარებული შეხედულებები. მე ვეკითხები მას, რატომ გერმანეთში არ წაიკითხა ამ თემაზე ლექციები?

პეტროგრადი. თიბათვის. 9. დეპუტატთა საბჭოს ყრილობა. ყრილობა ომთან დამოკიდებულების კამათით იწყება. ფრონტის წარმომადგენელი ვილენსკი და ესერი საკიანი ლენინს აკრიტიკებენ. მარტოვის აზრით, რუსეთის დემოკრატიამ უნდა მოითხოვოს ხელშეკრულებათა გადათვალიერება და ყველა ფრონტებზე დროებითი შედიგება გამოაცხადოს. სეპარატიული ომი რუსეთისთვის საშიში არ არის, რადგან რევოლიუციური ხალხი საკმაოთ ძლიერია თავი ფირმულათა დაცვისათვის. ტროიცკი ამტკიცებს, რომ რევოლუციურმა დემოკრატიამ უნდა გამოაცხადოს, რომ გერმანეთის იმპერიალიზმის ხუნდები უკვე საზიზღარია მისთვის, როგორც იმპერიალიზმი ანგლო-ამერიკანელთა. წერეთელი უპასუხებს ტროიცკის და ამბობს, რომ არ არის სასურველი პატარა ჯგუფთა შეცდომებზე შეჩერება, რადგან შემცდარ პოზიციის წყალობით კონტრ-რევოლიუციას გზა ეხსნებაო. ტროიცკი — სთქვა წერეთელმა — ლაპარაკობდა მოკავშირეთა ულტიმატუმზე და მან კარგად უნდა უწყოდეს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ულტიმატუმი, ვიდრე იმის მიზეზებს არ გადაათვალიერებს, — ამ ქვეყნების დემოკრატიის ულტიმატუმი იქნებოდა. მე ვკითხულობ, ხელსაყრელია თუ არა ხალხთან ულტიმატუმით ლაპარაკი? ყრილობებში დემოკრატია მონაწილეობს, იგი არ ეთანხმება ტროიცკის და ვანა ამგვარ ულტიმატუმებს თავს არ დაანებებს? (ტაში), ბოლშევიკებმა სეპარატიულ ომის ლოზუნგი წამოაყენეს, მაგრამ ამგვარი ომი ფაქტიურად ჩვენს მოკავშირეთათვის საზარალო არ იქნებოდა. რუსეთის დემოკრატიას, სრულიად განცალკევებულად დარჩენილს, მოაკლდებოდა ყოველგვარი დახმარებაო. იერიშების შესახებ, წერეთელმა სთქვა, რომ ეს საკითხი რევოლიუციისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხიაო. იერიში — სთქვა წერეთელმა, — თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა და ამიტომ საჭიროა ლაშქარი თავდასხმისათვის მზად იყვესო. ბოლშევიკები ლაშქარს უმოქმედობისაკენ მოუწოდებენ. ხოლო ლაშქარი უსაქმურობით იღუპება. უარჰყოფენ რა ლაშქრის იერიშს, ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებენ ქვეყნის შუაგულში საერიშოთ. რუსეთის რევოლუციას დარბევის საფრთხე მოელის. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკებს, რადგან რევოლუციის სუსტი მხარე სწორედ აქ არისო. (ტაში), პლეხანოვი ყრილობას მოუწოდებს მტრის ბატონობა მოვიშოროთო.

თორმეტ საათზე კრება შესწყვიტეს. მენშევიკები და ს. რ. თათბირობენ ივნისის 10-ს ბოლშევიკთა შეიარაღებულ მანიფესტაციის შესახებ.

საღამოს კრების დახურვის შემდეგ, სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობის წევრები ფაბრიკებისა და ჯარის ნაწილების დასათვალიერებლად წავიდნენ, რათა მშვიდობიანობისაკენ მოეწოდებინათ მათთვის. ამისათვის შესდგა საგანგებო კომიტეტი 14 კაცისაგან შემდგარი.

9 საათზე წევრთა კერძო თათბირზე გამოირკვა, რომ ამ მოგზაურობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

პეტროგრადი. ივნისის 11. დღის კრება. ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარემ **ტკაჩოვმა** სთქვა, მე გამგზავნა ყაზახთა 11 ლაშქრის დეპუტატთა ყრილობამ. ეს ყრილობა წარმომადგენელია, როგორც ფრონტზე მყოფ. ყაზახებისა, აგრეთვე ყაზახთა სტანიცების მოსახლეობისა. ყაზახობა მოგესალმებათ და იზიარებს თქვენის უმრავ-

ლესობის აზრებს, რასაც დროებითი მთავრობაც და ხალხიც ემყარება. თუმცა ყაზახთა ყრილობას ჯერ საერთო დადგენილებანი არ მიუღია, მაგრამ წინასწარ დადგენილებებით კი იყო თქვენთანაო. ყაზახობამ იცის, რომ დროებითი მთავრობა ბატონი და პატრონია და იგი აერთიანებს ჩვენს ქვეყანას (ტაში). ამ სიტყვის შემდეგ ომთან დამოკიდებულების შესახებ კამათი კვლავ დაიწყო. ყრილობის უმცირესობის მხრივ ილაპარაკეს პრაპორჩიკმა კრილენკომ, ზინოვიევმა და ერმანმა. პირველი ამტკიცებდა, რომ რევოლუციის პირველ დღეების ენტუზიაზმი ჯარს გაუქრა და ამ უენტუზიაზმოდ კი ომის წარმოება შეუძლებელიაო. ამას კრილენკო იმ რეზოლუციებზე ამყარებდა, რომლებიც მას ხუთი პოლკიდან ჰქონდა მიღებული. ენტუზიაზმის გასაჩენად საჭიროა, ჯარის კაცებმა ირწმუნონ, რომ იგინი სახალხო საქმისთვის იხოცებიან. რწმენა კი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც მთავრობის ძალა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელში გადავა. ლუნაჩარსკიმ განმარტა ყრილობის უმცირესობის პოზიცია. და სთქვა, რომ როცა სარევოლუციო მოძრაობა უმაღლეს წერტილამდის მივა, მაშინ ძალთა ისეთი აფეთქება მოხდება რომ საქმის მსვლელობა მთლად შეიცვლებაო. სხვა იმედები უმრავლესობისა ბურუსია.

ზინოვიევი. ამტკიცებს, რომ ინტერნაციონალის დრო მას ერთგულად მხოლოდ ბოლშევიკები შერჩნენო (დღის ყრილობის დასასრული ჯერ არ მიგვიღია).

პეტროგრადი. თიბათვის 11 საღამოს სხდომაზე ილაპარაკა **ვანდერველდემ**. დღევანდელ დღეს, სოციალისტებისათვის კავშირი ფრიად საჭიროა. რუსეთი უსაშინელეს წუთებს განიცდის. ცარიზმის მიეჟ წარმოშობილი ბოროტება, ფინანსთა დაცემა და სხ. მოუგვარებელი საქმენი რევოლუციონურ დემოკრატიისგან მოითხოვენ ენერგიის და ძალთა გაერთიანებას. ჟამი ფრიად საშინელია: საკითხი ასეთია: დესპოტიზმს დარჩება გამარჯვება, თუ ხალხი თავისუფლების ჰაერით ისუნთქებს? (ხანგრძლივი ტაშისცემა) სამი წლის წინედ მე მოგიწოდებდით ეროვნებათა კავშირისაგან.—მე მრწამდა, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როცა შესაძლებელი იქნებოდა თვით-გამორკვევა და ყოველგვარ ბატონობისაგან განთავისუფლება (ტაში). ჩვენ სრულიად გეთანხმებით: ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ომს, გარდა თავისუფლების და თვით დაცვის ომისა. ჩვენ არ გვინდა ვისმეს მიწები ჩამოვართვათ, ან და კონტრიბუციით დავტვირთოთ, მაგრამ განსხვავება მხოლოდ საშუალებასა და მეტოდშია, სხვანაირად არ შეიძლებოდა. დიდხანს ვიყავით ომისაგან გაყრილნი და ჩამოშორებულნი. თქვენ ახლახან დაამსხვრიეთ დესპოტიზმის ჯაჭ-ბორკილი და ახლა მთვრალნი ნებივრობთ თავისუფლების ტკბილი სასმელით. ჩვენც თავისუფლები ვიყავით ომამდე ახლა ძმები ვართ. დღეს ბელგიელი მუშები ვილჰელმის მონები გახდნენ (ტაში).

მე ვამბობ: მე რომ რუსი ვყოფილიყავ, მეც ისე ვიფიქრებდი, როგორც თქვენ რომ ბელგეთის პროლეტარები იყვნეთ, თქვენც რომ ისე იტანჯებოდეთ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ისე იფიქრებდით, როგორც ბელგიელები ჰფიქრობენ. მაგრამ უთანხმოება არას წარმოადგენს, შედარებით იმ ინტერნაციონალიზმთან, რომელიც ჩვენსა და ჩვენ გერმანელ მეგობართ, ლუქსენბურგისა და ლიბკნეხტის გულში ჰფეთქავს, რომელნიც ციხეში არიან ჩამწყვდეულნი, რომელნიც სათუთად ინახებიან საფრანგეთის რევოლუციონერთა გულში (ტაში). სამი წელიწადია რაც ბელგეთი მტარვალს უჭირავს. მისი სულიც ტყვეთ ჰყავს მას. ადგილობრივი მოსახლეობა მშობელ კარ-მიდამოს დააშორეს და შორს მიუჩინეს ბინად უცხო ადგილნი. სოციალისტური ბელგეთი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. მაგრამ ამ წელიწადს, ბელგეთის მუშებსაც დაუდგათ ჟამი სიხარულისა, როდესაც სოციალისტურ ბელგეთმა გაიგო რომ პეტროგრადი აღსდგა და დაამხო ცარიზმი, რომ იქ დანთებული ცეცხლი ევროპასაც მოედება. (მქუხარე ტაში) ჩემს სიტყვას უნდა დაუმატო, რომ რევოლუციის მხიარულ სახეს თან აჰყვა შემაძრწუნებელი სახე. ჩვენ გვეფიქრება: შეძლებს თუ არა რევოლუცია თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებას. ჩვენს თვალწინ კოალიციონური სამინისტრო დაარსდა. ჩვენ მოწმენი გავხდით, იმისა, თუ რა ენერგიით შეუდგა კერენსკი რევოლიუციონურ ჯარის ორგანიზაციას. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების ყრილობა- ის ორგანოა, რომელიც რევოლიუციას დააბოლოვებს. მე და ჩემი ამხანაგები, დაპყრობილ ბელგითის მუშათა და ჯარის კაცთა სახელით, სალამს ვუძღვნით თავისუფალ რუსეთის მუშათა და ჯარის კართა ყრილობას და დიდ იმედს გამოვსთქვამთ მის მოვალეობის პირნათლად (აღსრულებაში. ჩვენ იმედი გვაქვს რომ რუსეთის რევოლუცია მთელს ქვეყანას განთავისუფლებს მონობისგან. (ტაში). ჩვენ ბელგეთის პროლეტარიატს უნდა დავუბრუნდეთ და გეტყვით: მშვიდობით. მაგრამ არა, მშვიდობით კი არა, - ნახვამდის, ვიდრე მთელი ევროპა თავისუფლად ამოისუნთქავს. გმადლობთ მასპინძლობისთვის. გაუმარჯოს რევოლუციას გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ქვეყნის თავისუფლებას. (მქუხარე ტაში).

(შემდეგი იქნება.)

უცხოეთი.

დეპეშები.

პ. დ. ს.

გერმანელების გადაწყვეტილება.

ათინა. ივნისის 10. მოსული ცნობის მიხედვით გერმანელებს გადაუწყვეტიათ ჩაიგდონ ხელში, არამც თუ მთელი პოლიტიკური ცხოვრება ოსმალეთისა, არამედ განზრახვა აქვთ სასოფლო-სამეურნეო საქმეებსაც სათავეში ჩაუდგენ. სასოფლო სამეურნეო საქმეთა მიხედვით მთელი მცირე აზია დანაწილებულია ოლქებათ, რომელთაც ხელმძღვანელობენ სამიწადმოქმედო გერმანელი ინსპექტორები.

ახალს კაბინეტში ცვლილების მოხდენა.

სტოკჰოლმი. ივნისის 12. როგორც კორესპონდენტთა ბიურო ვენიდან იტყობინება, ახლად შემდგარს კაბინეტში ცვლილება მოხდარა სამიწადმოქმედო მინისტრით ვიმბერი, ვაჭრობის მინისტრად მეტაია, სახალხო მუშაობის მინისტრად გომში და სარკინისგზო მინისტრად ზაიგტო. საქმის მწარმოებლობა მიენდო ტვარდსკომს.

მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. ივნისის 12. ოფიციალი. შეტევითი ბრძოლები სწარმოებს. ლარუანერის ფერმის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში; გაცხოველებული საარტილერიო მოქმედება. საარტილერიო მოქმედებაა აგრეთვე იურტებიზის მიმართულებით შეფრის აღმოსავლეთით. გერმანელების მიერ ორჯერ მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. ფრონტის დანარჩენს ადგილებში ღამემ წყნარად განვლო.

ლონდონი. ივნისის 12. ოფიციალი მტერი შეეცადა დილით გავრელისა და არმანტიერის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენს თხრილებზე თავდასხმას, მაგრამ პოზიციებთან მოახლოვებაც კი ვერ შესძლო. მტრის არტილერია მოქმედებდა დღეს ვოვიარენკურის ტყის მახლობლად და სკარპის ჩრდილოეთით. დღით ჩამოვაგდეთ გერმანელთა ორი ჰაეროპლანი, დავკარგეთ ერთი.

შავ ზღვაზე.

პ. დ. ს.

ბრესლაუს თავდასხმა კრეისერი ,,ბრესლაუ'', რომელიც ეს 11 თვეა ბოსფორში უმოქმედოთ იდგა, 12 ივნისს მოულოდნელად დაესხა რუსეთის შავიზღვის სანაპიროებს. ,,ბრესლაუმ'' ყუმბარები დაუშინა კუნძულ ფიდონისის რადიო სადგურს, მაიაკს და გადმოსხა იქ თავის რაზმი, გაანადგურა ახლო მახლო შენობები და ამ ოპერაციების დამთავრების შემდგომ ბოსფორისკენ გაემართა. ,,ბრესლაუ''-ს დაედევნა რუსეთის შავიზღვის ფლოტის გემები.

ახალი ამბავი

† **ელენე ხელთუფლიშვილის გარდაცვალება.** 14 ივნისს ნაშუადღევის 3 საათზე ქუთაისში ტრაგიკულად გარდაიცვალა ქალთა ეპარქიულ სასწავლებლის მასწავლებელი ქალი, ელენე ხელთუფლიშვილი.

◆ **დელეგაციის წასვლა.** გუშინ წინ თბილისიდან პეტროგრადს გაემგზავრენ მიხეილ მაჩაბელი და იმერეთის სამღ. წევრი დეკანოზი. კელენჯერიძე. ხსენებულ პირთ მინდობილი აქვთ დრ. მთავრობასთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე მოლაპარაკება.

◆ **წარმოდგენა.** 16 ივნისს ქალაქის თეატრში ქუთაისის გარნიზონის ჯარის კაცები თავის ფონდის გასაძლიერებლათ ალ. ან. მესუსიძის რეჟისორობით გამართავენ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება 1. „ლეკის ქალი გულჯავარი“, ისტ. დრამა ა. ცაგარელისა; 2. „დატრიალდა ჯარა“, ვოდევილი 1 მოქ. ყიფიანისა.

◆ **ცნობა ჯარიდან.** სრულიად რუსეთის წითელი ჯვრის მე-11 მოწინავე რაზმში უფროსათ იყო სტოლპაკოვი. რაზმმა სტოლპაკოვი, როგორც ძველი რეჟიმის მოტრფიალე და მავნე პირი, გადააყენა. რაზმმა მის ალაგის დაკავება სთხოვა ამავე ნაწილის სამეურნეო საქმეთა გამგეს, ისმაილ პავლეს ძე გოგოლაშვილს, რაც დეპეშით აცნობეს თბილისში მთავარ რწმუნებულს. ის. გოგოლაშვილმა თანამდებობის მიღებაზე უარი განაცხადა, მაგრამ ჯარის და მთავარ რწმუნებულის განმეორებითი თხოვნის გამო დათანხმდა მიიღოს წითელიჯვრის მე-11 მოწინავე რაზმის მოთავეობა.

◆ **ქალაქის არჩევნები.** ადმ. კომიტეტის საარჩევნო კომისიამ ქალაქი 3 საარჩევნო ნაწილათ დაჰყო. პირველ ნაწილის საზღვრებია ოლქის სასამართლო, ყაფანის მოედანი. მასში შედის თბილისის ქუჩა, მწვანეყვავილა საფიჩხია და ვოგზალის იქითა ნაწილი.

◆ მეორე ნაწილში შედის იგივე ქუჩები, მხოლოთ დასავლეთის ადგილებით, ფერმა წითელ ხიდამდე. მეორე ნაწილის საზღვარია გაბაშვილის მთა.

◆ მესამე ნაწილს შეადგენს წყლის გაღმა რაიონი გაბაშვილის მთის სამხრეთით.

◆ საარჩევნო კომისიამ დაადგინა, საჩქაროთ შესდგეს ამომრჩეველთა სიები (ე. ი. 20 ივნისისთვის მზად უნდა იქმნას), დაიბეჭდოს ქართულ-რუსულ ენაზე საარჩევნო ფურცლები და გაიკრას, ყოველ უბანში, სთხოვოს ქუთაისის გარნიზონის უფროსს, რომ, რაც შეიძლება მალე, წარმოადგინოს საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ ჯარის კაცთა სია.

— დადგენილია აგრეთვე ისინი, ვინც აღწერის დროს. სიაში გამორჩენ, შეტანილ იქნას. ჯეროვან გამოკვლევის შემდგომ. აღწერისთვის და საარჩევნო მუშაობისთვის გადაიდვა 1.500 მან. საარჩევნო კომისიამ აგრეთვე დაადგინა იმომრჩეველთა სიები ცალკე ბროშიურებად დაიბეჭდოს 20 ივნისამდე.

◆ **დაკარგული ბავშვი.** მესხეთის ქუჩაზე მცხოვრებს გვარამიას დაეკარგა 16 წლის ბავშვი. მშობელი სთხოვს ყველას, ვინც კი რამეს გაიგებს ხსენებულ ბავშვის შესახებ, აცნობოს მას.

◆ **3.500 მან გადადება.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი აცნობებს ქუთ. ადმ. კომიტეტს რომ ქუთაისის ქალაქის თავდაცვითი მილიციის რიცხვის გასადიდებლათ, გადადებულია 3.500 მ.

◆ **პროფესსიონალურ კავშირთა კონფერენცია.** ამ თვის 20-ში პეტროგრადში მოხდება მესამე კონფერენცია საპროფესიონალო კავშირებისა. განსახილველი იქნება 1) კავშირთა მიზნები, 2) საორგანიზაციო საკითხები, 3) საეკონომიო ბრძოლის ხელმძღვანელობა კერძოდ კი ომისა და რევოლუციის დროს. 4) კავშირები და 8 საათის სამუშაო დღე, 5) შრომის დაცვის კანონმდებლობა, 6) კოალიციათა თავისუფლება, 7) სამუნიციპალო პოლიტიკა საპროფესიო კავშირებისა, 8) კავშირები და უმუშევრობა ომის დროს და მას შემდეგ; 9) საკულტურო განმანათლებელი მოღვაწეობა, 10) საკუთარი პრესსა, 11) მოხსენებები, 12) საორგანიზაციო კომისიის არჩევნები.

◆ **თეთრ-ბილეთიანები.** ამა თიბათვის 3-ს, სამხედრო მინისტრმა ბრძანება გამოსცა № 329. ამ ბრძანებით ყველა ის თეთრ-ბილეთიანები, რომლებიც შემოწმებამ სავარგისად სცნო და შემდეგ სოფლის სამუშაოსათვის იქმნენ დათხოვნილნი, როგორც თავმოყრის პუნქტებიდან ისე ჯართა ნაწილებიდან, დაუყონებლივ უნდა გამოცხადდნენ მაზრის სამხედრო უფროსთან ჯარში გასაგზავნათ. უფროსებსაც ებრძანათ ყოველი ღონე იღონონ ამ ბრძანების დაუყონებლივ შესასრულებლად. თიბათვის 15 შემდეგ ვინც არ გამოცხადდება დეზერტირად იქნება ჩარიცხული და ყველა ის სასჯელი მიესჯება, რაც დეზერტირობას მოსდევს.

◆ რადგანაც, შაბათს 10 ივნისს წვიმიანი დღე იყო, ქვიტირის ქუჩაზე საღამო არ გამართულა; გადადებულ იქმნა შემდეგ შაბათისთვის, ესე იგი 17 ივნისისთვის.

◆ **გაუქმებულ ადგილებში მოსამსახურეთა ბედი ჯარში გაწვევის შესახებ.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა სახელმწიფო წესწ-ყობილების ცვლილების გამო მრავალი პოლიციის თანამდებობა, რომელიც ანთავისუფლებდა ჯარში გაწვევისაგან, მოისპო. რადგან სამინისტროს ამ ჟამად აუარებელი შეკითხვა მოსდის ამ პირთაგან, სამინისტრო მათდა საყურადღებოდ აცხადებს, რო 1) ყველა ის პირნი, რომელთაც მოელოდათ ჯარში გაწვევა და ახალ წეს წყობილების დროს მათი თანამდებობანი გაუქმდა, მოვალენი არიან ეხლავ დაუყოვნებლივ გამოცხადნენ მახლობელ სამხედრო უფროსთან ჯარში გასაწვევად, თუ ჯანსაღნი აღმოჩნდებიან.

2) ის პირნი, რომელთაც მობილიზაციით ვადა განეგრძოთ 348 წესდების ძალით სანამ ძველ თანამდებობაზე იყვნენ ან და განსაზღვრულ ვადით, ჰკარგავენ ამ უფლებას იმ დღიდან რადღიდანაც დასტოვებენ თანამდებობას.

3) რათა ეს პირნი დროზე გამოცხადნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად ყოველი ზომა მიღებულ უნდა იქმნას, რომ სამხედრო უწყებას ეცნობოს სია იმ პირთა რომელნიც დათხოვნილ არიან სახელმწიფო სამსახურიდან.

4) ახლად დაარსებული თანამდებობა ძველითანამდებობის ნაცვლად არ ანიჭებს უფლებას სამხედრო ბეგრის განთავისუფლებისათვის რადგანაც ასეთი თანამდებობა აღნიშნული არ არის სათანადო სიაში.

5) თუ რომელიც მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებაშისაჭიროა ვისიმე დატოვება ისეთ თანამდებობაზე ან და ისეთს დაწესებულებაში, შუამდგომლობა უნდა აღძრულ იყოს ადგილობრივ შეღავათის მიმცემ კომიტეტში.

პროვინცია.

დ. ახალსენაკი. 3 ივნისს სტ. მიხ. ლევა მიჩავამ (მ. ანაშვილი) გამართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა პირველად ქართულ ენაზე მიხ. ბოჭორიშვილის „ვნების ბრჭყალებში“. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და ხალხი ბლომად დაესწრო.

ქ. ფოთი. ხუთშაბათს 22 ივნისს მსახიობი ს. ხარაზიშვილის მეთაურობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება შვაიერის ცნობილი პიესა „ნიშანი ყოფაქცევაში“.

სოფ. დიდი ჯიხაიში. როგორც დიდი ჯიხაიშიდან გვატყობინებენ, იქ სოფ. საჭილაოს და ივანდიდში საქონლის ჭირი მძინვარებს.

კავკასიის ქრონიკა.

ერევანი. სომეხთა და თათართა ურთიერთი განწყობილება დღითი დღე საშიში ხდება. ქუჩებში სისტემატიურად სწარმოებს ექსცესები ეროვნულ უთმენლობის ნიადაგზე.

არზრუმი. აქ ეროვნულ ექსცესების დროს მოჰკლეს კომისარი სულთანოვი (მაჰმადიანი).

— კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა საერობო კავშირებს უარი უთხრა იმის შესახებ, რომ ფრონტზე საერობო კავშირის დაწესებულებებში სამუშაოდ გაეგზავნათ 1,800 ჯარისკაცი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

10 ივნისის საღამოს სხდომა.

სხდომა დახურულად იქმნა გამოცხადებული; ამ დახურულ სხდომაზე, სხვათა შორის, პარტიის მთავარი გამგეობა აირჩიეს, რომელსაც დაავალეს „საქართველოს“ რედაქციის კოლეგიუმის მოვალეობის ასრულებაც.

მთავ.-რ გამგეობის წევრად არჩეულ იქმნა შემდეგი პირნი: 1) კედია სპირიდონი, 2) მაჭავარიანი იოსები, 3) გვაზავა გიორგი 4) ვაჩნაძე დავით, 5) ქარუმიძე შალვა, 6) გორდეზიანი გიორგი, 7) გაბაშვილი რევაზ, 8) სონღულაშვილი იროდიონ, 9) ტატიშვილი შალვა, 10) ქიქოძე გერონტი, 11) შანშიაშვილი სანდრო, 12 ვეშაპიძე გრიგოლ, 13) ასათიანი ალექსანდრე, 14) ივანიცკი (ინგილო) რაფიელ და 15) ჟურული გიორგი.

ამით გათავდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი კრება.

ილია ჭყონია.

† ელენე ხელთუფლიშვილი.

ოთხშაბათს ნაშუადღევის 2 საათზე ტრაგიკულათ გამოესალმა წუთი სოფელს ბესარიონ ხელთუფლიშვილის ასული ელენე. ეს აღმაშფოთებელი ამბავი ელვასავით მოედვა ქუთაისს და ყოველი მისი ნათესავი და ნაცნობი განცვიფრებით განსვენებულის ბინისკენ მიეშურებოდა, ყომ გაეგო სინამდვილე ამ საოცარი შემთხვევისა. ყველას სახეზე დიდი განცვიფრება იხატებოდა მართლაც, როგორ უნდა წარმოგვედგინა მის ნაცნობ ნათესავებს, რომ ბუნებით ნიჭიერი, გონებით სალი და ცხოვრებაში წინდახედული ადამიანი ასე საოცრად-ტრაგიკულად-თავს-დაიღუპავდა! გულს არ უჯერა, რაც ყურს ესმოდა. ჭეშმარიტად მოულოდნელია სიკვდილი!!!

განსვენებული ელენე ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო. 1887 წ. მან ოქროს მენდლით დაასრულა სწავლა ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის სასწავლებელში და კერძო სასწავლებელში მასწავლებლობა დაიწყო; 1896 წელს საეპარქიო ქალთა სასწავლებელში მიიწვიეს პროგიმნაზიულ კლასებში რუსული ენის მასწავლებლათ, სადაც დღემდი პირნათლათ განაგრძობდა სამსახურს.

როგორც მასწავლებელი განსვენებული ელენე იყო იშვიათი მუყაითი და კეთილ სინიდისიერი აღმასრულებელი თავისი წმინდა მოვალეობისა. პატიოსნებით შემკული სპეტაკი პიროვნება განსვენებულისა ცოცხალი მაგალითი იყო მოწაფეებისათვის და დიდი ზნეობრივი გავლენაც ქონდა მოზარდ თაობაზე. განსვენებულის თვისება იყო: იშვიათი გულწრფელობა, დამოუკიდებელი აზროვნება და გაბედული კილო მსჯელობისა, რითაც მუდამ იქცევდა ამხანაგთა ყურადღებას.

განსვენებული იყო საზოგადო მოღვაწე და სამშობლოს საკეთილდღეოდ უანგარო მუშაკი. ყოველ კულტურულ დაწესებულებას დიდის თანაგრძნობით ემსახურებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია განსვენებულის ხანგრძლივი მოღვაწეობა სახალხო უნივერსიტეტში, რაც თავის დროზე დაწვრილებით იქნება აღნიშნული ამ დაწესებულების ისტორიაში. განსვენებულის დაუღალავი მუშაობა და უსაზღვრო ენერგია, სწორეთ, ფასდაუდებელი იყო სახალხო უნივერსიტეტის წარმატებისათვის.

სამწუხაროთ დიდმა შრომამ გავლენა იქონია განსვენებულის სულიერ განწყობილებაზე და ამ ბოლო დროს მას ძარღვების სისუსტე დაეტყო, რამაც ტრაგიკულ წუთამდი მიიყვანა.

დავკარგეთ იშვიათი ადამიანი, ძვირფასი მასწავლებელი და დაუღალავი მუშაკი. საზოგადო შრომას შეეწირა განსვენებული. მის ცხედარს შეამკობს საყვარელი მოწაფეების და სახალხო უნივერსიტეტის მადლიერ მსმენელთა მხურვალე ცრემლები.

კეთილი იყოს სსოვნა შენი,
ძვირფასო ადამიანო!

ტ—ონ.

რა აძულებს ხალხს სამღვდელოებას?

ქართველი ხალხი მორწმუნე იყო და არის. მართალია იგი, ღვთის ვედრების დროს სხვასავით თავს პირს არ იმტვრევს და ფანატიკოსებივით სხეულს არ ისახიჩრებს, მაგრამ ღვთის სასოება მაინც ღრმად აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი.

სარწმუნოება, იმდენად გარეგნული არ მოსწონს ქართველ ხალხს, რამდენადაც მისი შინაგანი თვისებით ტკბება და სიამოვნებს. ეს თუ ასეა აბა რა არის მისი მიზეზი, რომ ჩვენში დღეს, ბრუნდი და მართალი, მარტო მღვდლის აუგშია? ამის უმთავრესი მიზეზი მღვდლის შენახვის უმსგავსო წესია. ქრისტემ ნათლად და გარკვევით ბრძანა „უსასყიდლოდ მიგიღებიესთ და უსასყიდლოდ მის ცემდითო“. არც ის მავიწყდება, რომ მეორე ადგილას სახარებაში ისიც გარკვევით არის ნათქვამი, რომ „მუშაკი ღირსია სასყიდლისო“, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ორი მცნება სასულიერო მთავრობამ ერთი ერთმანეთში აურია და მღვდელი და ერი ერთი ერთმანეთს მოუსია. მღვდელი ყოველისფერ მღვდელ მოქმედებაში მრევლისაგან სასყიდელს თხოულობს ხშირად ეს სასყიდელი სამუშევრის ღირებულებას დიდათ აღემატება და მეწვრილმანული ვაჭრობა იმართება სარწმუნოების წარმომადგენლის და მისი სულიერი მოწაფის შორის. ასეთი დამოკიდებულება და გარემოება დიდათ ამცირებს მღვდლის პიროვნებას.

მორწმუნე პირი ებრძვის თავის თავს და მსჯელობს, ნუ თუ ქრისტეს მოძღვ-

რებაც ფულით უნდა განიზომებოდესო. განსაკუთრებით სიკვდილზე დამყარებული საწირავ სალოცავის ვაჭრობა ამცირებს და ღუპავს მღვდლის პირადობას და მის საღმრთო ხარისხს. ბევრია მასთანა მღვდელი, რომ თავის გალატაკებულ წვივებ-შიშველა, დაბეჩავებულ—დამონავებულ მრევლს ეუბნება, ამდენი და ამდენი თუ არ მომეცი, არ იქნება და არაო. ნაძალადევათ მრევლისაგან ფულის აღება, რაშიდაც უნდა იყოს იგი, საკადრისი არ არის.

ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ ერთი გარემოება გვაკვირვებს. ნუ თუ ეს ჭეშმარიტება დღემდის ყველა მღვდელმა ვერ შეიგნო?

როგორც გადმოგვცეს, შორაპნის მაზრის ერთ-ერთ საოლქო საბჭოს დაუდგენია ამიერიდან მიცვალებულის წინგასაძღოლი სამი მანეთის ნაცვლად ხუთი მანეთი იყოსო. ეს იმას გავს ჯოჯოხეთს ერთი ნიგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო.

სამღვდელოება უნდა ეცადოს თავის უკიდურესი ნივთიერი მდგომარეობა სხვა გზით გამოაკეთოს, თორემ ამ გზით აღებულმა ფულმა შეაძულა სამღვდელოება ხალხს და თუ, ამ თავისუფლების ჟამს არ გადაუხვიეთ ამ გზას, არამც თუ თავს შევაძულებთ, მეტიც მოგვივა და მაშინ ჩვენ სათქმელათ მხოლოდ ის დაგვრჩება, რომ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

მ. ბუაჩიძე.

გლეხის ნაამბობი.

მე ბევრ სხვადასხვა შორაპნის მაზრის სოფლებში გამივლია და რამოდენიმე დღითაც დავრჩენილვარ. გლეხების ყოფა-ცხოვრებას ამ არეულ წუთისოფელში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი. ბევრ გლეხთან მისაუბრია და დაახლოვებით მათგან ერთი და იგივე გამიგონია. ისინი ამბობენ: „ჩემო ნათლია და ჩემო კეთილო, შენ ქაღალდი გესმის, ნასწავლი კაცი ხარდა გამაგებიე ეს ამდენი პარტიის კაცი რომ დაიარება და დაქადაგობს, რიგირიგს ამბობს რიგი რიგს, ზოგი იჯარით გვპირდება მიწას, ზოგი სულ ტყუილა, ზოგი კიდევ მისთანას ამბობს, რომ კაცს ეგონება აწი ნამდვილათ იმისთანა დრო მოვა, რომ კაცი უშრომლათაც იცხოვრებსო დრო მოვა სოციალიზმი განხორციელდებაო და მაშინ ადამიანი სრულ ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებაში ჩავარდებაო. მაგრამ ამის ხამი რავა ვარ, რომ ქვეყნიერობა ისე არ გასწორდება, რომ კაცმა კაცი არ დაჩაგროს და მიზეზი არ მიაყენოსო. მაგრამ რა ენაღვლებათ, ქე კი ლაპარაკობენ ამ კაი-კაი სიტყვებს და მისი ჯავრი არ აქვთ, ასრულდება, თუ არა. „მარწყვი მიქადის გასუქებასო, არ ველი ასრულებასო“, სწორეთ ისეა მაგათი საქმე. თუ ღმერთს მისას მიმადლებენ და თავს დამანებებენ, ძალიან მადლობელი ვიქნები. არც მოცემული მინდა მაგათი და არც წართმეული. ჩემთვინ დამაყენონ. იჯარით, შე კაცო, აქამდინაც ქე ვშოვილობდი. ტყუილა მოგცემ მიწას, მაგრამ შენი კერძო საკუთრება კი არ იქნება და არც გაყიდვის უფლება გექნება და არც შვილზე და მომავალზე გადაცემის უფლება გექნებაო. თუ დამაყენებენ და წყალში არ ჩამაგდებენ, კაია.

ჩამცივებიან: შენ მიწა გესაჭიროვება, რადგან მიწის მუშა ხარ მიწა რავა არ მესაჭიროება მაგრამ, თუ ათი-ოცი წლის განმავლობაში ხელ-მისაწდომ ფასში შემაყიდიებენ და კერძო საკუთრებათაც გამიხდიან, ერთობ კარგი და პატიოსანი. მაშინ მეცოდინება, რომ ის მიწა ჩემია და გული საგულეს მექნება. რასაც იმაში გავაკეთებ, ვენახს თუ ბაღს, მეცოდინება, რომ ჩემ შვილს და მომავალს დარჩება. აპა კაი კი იქნება მე მიწა გამოვაკეთო და მერე სხვას დარჩეს“.

აპა, შე კაცო, მაგ ჭკუაზე ვარ სწორეთ! თუ ვინმე მევიდა და შეეხო ჩემი ოფლით ნაშოვნ მიწა-წყალს, მე ვიცი და იმან. ან მოვკლავ და ან შევაკვდები. ტყუილა მიწის ჩამორთმევა და ტყუილ მიცემა აპა ნარდობა ყოფილა ერთი პარტია ყოფილა, რაძახა ეროვნულ დემოკრატია. ის ქე ამბობს, რომ მიწის ტყუილა ჩამორთმევა, და ტყუილა გაცემა არ ივარგებსო, და ქეც ულაპარაკნია ზესტაფონში.

მაგრამ ჯერ არ მოსულა იმ კურთხეული პარტიის კაცი ამ ჩვენ სოფელში, თორემ მე , ვიცი, რა გამეხარდეს მისი მოსვლა და, ისე მე ვიცოცხლე, რავარც მე იმას ტაშიც დაუკრა და კენჭიც გაუთეთრო.

აპა რავა არ გაუთეთრო კენჭი მისთანა კაცს, რომელიც სიდინჯეს იჩენს და ამბობს ტყუილა ჩამორთმევა არ ვარგა, სისხლს გამოიწვევს და მტრობასო. სარწმუნოების შეხება კიდევ არ ვარგაო, რადგან, თუ კაცს გამჩენი არ სწამს, რა სიმდობია მისთანა კაცი?

ამ ეროვნულ დემოკრატიის პარტიის მეტი არც ერთი არ ყოფილა ჩემი გასახარელი, როგორც მე ეს ახლა უკვე გავიგე.—ერთი მევიდოდეს, ის დალოცვილი, ამ პარტიის კაცი და იქადაგებდეს. და აპა, თუ ყველა ჭკუაში მყოფელი და გამრჯელი მუშა გლეხკაცი იმას არ მიემხროს. ეს მიწის ტყუილა ჩამორთმევა სულ ვერაფერი კაი მოგონილია.

ზოგიერთი ხელზე გადასახვევს არას აკეთებს, ადგება და ყიდის მიწას, კარტში და ქეიფობაში გაფანტავს, დაკარგავს ამ ნაირათ, რაც რამე მიწა-წყალი ექნება, და სტეხამს მერე აურზაურს, მე მიწა არ მაქ, შენ ქე გაქ, ახლა ერთობაა და მეც უნდა გამიყოო. აპა, შე კაცო, იმან მიწა დაკარგოს, მერე მოვიდეს და ჩემ კეთილ შეძენილზე ბაწარი გამიბას, კაი ერთობა და სამართალი კი იქნება. ერთობა კი არა, უბედურება და ცოდვის კითხვა იქნება. არა თუ მიწა უნდა, როგორც იმ ეროვნულ დემოკრატს უთქვამს, ისე მოიქცეს. სახაზინო მიწაზე შევიდეს, შეიყიდოს ნელა-ნელა ოცი წლის განმავლობაში და მიწა ექნება. თუ ასე არ უნდა იაროს, ნიქაბაძის ფუტკარივით იბზუოს აქეთ იქით და იქნეს მუდამ სხვის ხელში შემჩერე. მეტი გზა არ არის ზარმაცი კაცისთვის. აგერ ჩემ თავზე გეტყვი. მე მიწა არ მქონია, მაგრამ გამევიყიდე ბატონიდან, ზოგი კიდე მოუმატე და ახლა ბატონისთანას ხუთს ვიყიდი და გავყიდი. თუ თავის სიკეთე უნდა იმ მცირე მამულიანმა კაცმაც ასე ქნას. და ღმერთი მის გამმარჯვე იქნება. თვარა და მე ამ ჩემ სულს ავიხსნი, არც არავის მივცემ ტყუილა და არც არავის წავართმევ.

სოფლელი.

რუსეთი.

ცარიცინის გარნიზონი არავის განკარგულებას არ ემორჩილება. ოფიცრები კონტრ-რევოლუციონერებად გამოაცხადეს. ცარიცინის გლეხთა საბჭო მოითხოვს, რომ დაიშალოს ცარიცინის ურჩი გარნიზონი.

უკრაინის მთავარი საბჭო.

უკრაინელთა სამხედრო საბჭო აცხადებს, ამიერიდან უკრაინელთა მთავარ სამხედრო საბჭოს განკარგულება სამართლიანი, კანონიერი და სავალდებულო იქნებაო; დროებითი მთავრობა ვალდებულია უკრაინელთა მთავარ საბჭოს განკარგულება დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანოსო.

ბოლშევიკების დასახმარებლათ.

პეტროგრადის გაზეთების ცნობით ქ. კრონშტატიდან გამოემართა კრეისერი ,,განგუტი'', რომელიც პეტროგრადის ,,ბოლშევიკებს'' უნდა მიეშველოსო.

ხმები.

მოსკოვში ხმა გავრცელდა დროებით მთავრობის წევრთა შორის უთანხმოების ჩამოვარდნის შესახებ. სხვათაშორის დაჯინებით ამბობენ, რომ პრემიერი თ-დი ლვოვი მთავრობის შემადგენლობიდან გავაო.

ომის წინააღმდეგ.

მოსკოვში გაიმართა მიტინგი. ხალხი ყვიროდა: ,,ძირს ომი გაუმარჯოს ზავსა''.

გერმანეთის აგენტები.

პეტროგრადში შეიპყრეს რამდენიმე კაცი, რომლებიც ქუჩაში ყვიროდენ გაუმარჯოს გერმანეთსო. გაზეთების გადმოცემით ისინი გერმანეთის აგენტები არიან.

მილიუკოვის განცხადება.

ყაზახთა ყრილობაზე ყოფილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა პ. მილიუკოვმა სთქვა ,,ომი უნდა გაგრძელდეს გამარჯვებამდე მოკავშირეებთან მჭიდრო კავშირით. ჩვენ სოციალისტებს ავიწყდებათ, რომ გერმანეთი ჯერ კიდევ ძლიერია. რუსის სოციალისტები ეუბნებიან გერმანეთის სოციალისტებს: ჩვენ ჩამოვაგდეთ ნიკოლოზი. მაშ, თქვენ ხელი მოგვეცით და ამოაგდეთ ვილჰელმიო. გერმანელი სოციალისტები კი უპასუხებენ: ,,თქვენ პირად ჰკმაყოფილებისთვის ჩვენ ვილჰელმს ხელს არ ვახლებთო''. შემდეგ მილიუკოვმა აღნიშნა ის სხვადასხვაობა, რომელიც არის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის სოციალისტებს შორის.

პეტროგრადის ამბები.

ჯარისკაცთა და მუშათა საბჭოს კერძო ყრილობაზე დეპ. მუკინმა სოც. (ბოლშევიკი) სთქვა: პეტროგრადში კონტრ რევოლუცია მზადდება; რომლისთვისაც ბურჟუებმა მოკავშირე სახელმწიფოთაგან ფული მიიღეს, მულინი მოითხოვდა გამოეძიებიათ როძიანკოს მოქმედება. ამავე დღეს ვიბორგის მხარეზე დიდი მღელვარება მოხდა.

აღელვებული მუშები იძახდენ მართალნი არიან ანარქისტები, როდესაც ამბობენ ,,ძარცვა-გლეჯით მოიპოვებ თავისუფლებასო'' ყველაფერს დამტვრევა და გაძარცვა უნდა. დღევანდელმა სოციალისტ მინისტრებმა სოციალიზმს უღალატეს და ბურჟუებს მიემხრენ, რომლებიც ომის განგრძობას ითხოვენო.

როდესაც მუშებთან დასაწყნარებლათ დეპუტატები მუშები მათ გულცივათ შეხვდენ და არაფერს უსმენდენ.

უცხოეთი.

ანექსიონისტური ლიტერატურა.

გერმანეთში ჯარის-კაცთა შორის დიდი სისწრაფით ავრცელებენ ანექსიონისტურ ლიტერატურას. ამ საქმისთვის გადადებულია დიდი თანხა. ანექსიონისტური ლიტერატურა ჯარს უსერათებს, როგორ ბედნიერი იქნება გერმანეთი, როდესაც სხვადასხვა ადგილებს შემოიერთებს და მის წინააღმდეგ ამხედრებულ მტერთ დატუქსავს.

პოლონელთა უკრაინელთა ურთიერთობა.

ავსტრიის უკრაინელთა დელეგატი ტემნიცკი შეეხო პოლონეთ უკრაინის ურთიერთობას და სთქვა: უკრაინელები მოითხოვენ ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიას, რომელშიაც უნდა შედიოდეს: აღმოსავლეთი გალიცია, ჰუნგრეთის ბუკოვინა და რუსეთის ვოლინი. ტემნიცკი უსაყვედურებს პოლონელებს, რომლებიც იმპერიალიზმით არიან გაჟღენთილნი და სხვა ერების სამართლიან მისწრაფებას ანგარიშს არ უწევენ.

სლავიანთა დეპუტატების სიკვდილით დასჯა.

ავსტრიის სენატმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სლავიანების დეპუტატებს, შჩენსკისა და მოვსკის, რომელთაც სახელმწიფოს ღალატი და რუსეთთან ჯაშუშობა ბრალდებოდათ.

გერმანეთის ჯარში.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანელთა ლაშქრის ყოველ ნაწილში შესდგა რჩეულ ახალგაზდა ჯარისკაცთა ცალკე რაზმები, რომელთაც უნდა აწარმოონ შეტევები,

გრიმმი.

შვეიცარიაში გრიმმის ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჟენევაში გერმანეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციას ამზადებენ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაკტორო!

ნება გვიბოძეთ, ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს ეწერ-ბალღების უფასო სამკითხველოს.

შემომწირველთა სია:

ფერშალმა ექვთიმე ორაგველიძემ 10 მან., მღ. ილარიონ ღლონტმა 5 მან., ელისე კვაჭაძემ 10 მან.

დ. კვირკველიამ, კ. ანთაძემ, გ. მურვანიძემ, ე. მეჩხიამ, გ. სარიშვილმა, ე. ნაკაიძემ, ი. გურგენაძემ, ლ. კვაჭაძემ, დ. წითლიძემ, ე. თავართქილაძემ, გ. ჯიბლაძემ, ა. ელიავამ, ნ. ხარგუამ და ს. ქარცივაძემ თითო მანეთი; ვ. მჟავანაძემ სამი მანეთი.

ი. ალექსიშვილმა, ე. ხონელიამ, მ. ფაჩუაშვილმა, ვ. ჭყონიამ და ბ. სარიშვილმა ორორი მანეთი. ლ. თევზაძემ, ლ. ჭყონიამ, ი. გოგუაძემ, ს. ბოლქვაძემ ე. მურვანიძემ, ბ. კონტარიამ, ე. ჭანიშვილმა, მ. გოგუაძემ, გ. გუჯაბიძემ, ს. გორიძემ მ.გორდელაძემდა რომან ოლლიმ ათათი შაური.

სიმონ გორიჩემ და ვ. მჟავანაძემ მანეთ ნახევარ მანეთნახევარი.

ეწერ ბალღების სამკითხველოს გამგე მასწ. გრ. ცენტერაძე.

შემოწირულება.

აკაკის სახელობის წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ მწვანეყვავილაში.

(გაგრძელება იხ. ჩვ. ქვ. № 54)

ორ-მანეთ ნახევარი თად. ჩირაძე.

ორ-ორიმანეთი: თომა მაჭავარიანი, ბენიამინ გერთოშვილი, ვ. ქელბაქიანი, ი. ხაზარაძე, აბრამ ცეიტლინი, ასათიანი ვანო ჯოხია, ალ. მუმლაძე, ანა ზაქარაძე, არქიფო სალდაძე, ივანე ჩირაძე, კირილე ფურცხვანიძე, თადეოზ ჩირაძე, იაკოფ მორჩაძე, მელიტონ ტურაბელიძე, კოწია ქვარიანი, მ. კუხიანიძე, სარდიონ გოგლიჩიძე, ილიკო კაკაბაძე, ფეიდენბერგ, კოსტა ელენტი, ერასტ ცნობილაძე, სამსონ ჯაფარიძე, №№, ელიგულაშვილი, სიმონ ფიჩხაძე, დანიელ ბუზიაშვილი, კოწია რუხაძე, თადეოზ წიქორიძე, გერასიმე ბურჯანაძე, ლავრ. გრიგორაშვილი, თადეოზ მახვილაძე, ფილიმონ დოლიძე, დანიელ კაკიტელაშვილი, ბინო ბინიაშვილი, ვლ. კახიანი, ვიქტორ აბდუშელიშვილი და მოშიაშვილი ლიზა.

მანეთ-ნახევარი: ამბროსი მორჩაძე, დიმ. ინაკავაძე, ფანჯო პაპანდოშვილი, აპოლონ ჩირაძე. აკაკი შენგელია, სერგო გოგინოვი, ს. ბინიაურიშვილი, სარა პატარიძე, კოტე მდივანი, ვარო დოლიძე, №№, ვერა ჭუბაბრიასი, მანეთი და 6 შაური—ანტონ ახვლედიანი. მანეთი და 15 შაური—კოწია მესხი.

თითო-მანეთი: იონა ბუკია, ივლ. ანჯაფარიძე, პავლე გიორგაძე, საულ ახვლედიანი, ანა იოსელიანის, დ. კლდიაშვილი, ივ. ჩაკვეტაძე, დავ. ქვარიანი, ნინო მარუაშვილი, ვერა ლოსაბერიძე, ლადო ბჟალავა, ნინო ასლანაძე, ნ. გოგოლაშვილი, კატო ნიკოლაძე, სოფიო ბოკერიასი, კუზნეცოვი, ს. ალავერდოვი ბონდო მიქელაძე. ავსაოქისოვი, ჩხეიძე, დავ. ლორია, რაჟდენ ჭირაქაძე, ესტატე კისკეიძე, ელ. ბიწიაშვილი, აბდულ დავითაძე, რაფ. თარონიშვილი, დარიკო მარტინოვის, მეთოდე ბეჟუაშვილი, რაფიელ ბინიაშვილი, ელ. მოშიაშვილი, სერგო გოგინოვი, არსენ ჭელიძე, შანიძე, ნინო ფურცხვანიძე, ნინო ჩირაძე, გრ. ჭარხალაშვილი, ვას. ფურცხვანიძე, ის. სიხარულიძე, ლუბა გაჩეჩილაძე, იაკოფ ნიშნიანიძე, ანდრო ბუხაიძე, ივ. ბალანჩივაძე, სიპიტ ზვაჩენკო, ლადიკო რუხაძე, ერმ. გაბელაშვილი, არ. იამანიძე სერაფიმა მიქაბერიძია, ა. ზორელაშვილი, ყაზარ იაკობიშვილი, კოწია ჯოხია, აბრამ ელიგულაშვილი, ბინო თორონიშვილი, იოსებ თორონიშვილი ნატ.მაღლაფერიძისა,არქიფო გიორგაძე,სერაპიონ, კუჭაიძე, სეფე ჩუბინიძე, სიმონ კალანდარიშვილი, ვანო აკოფოვი, რაჟდენ ჯანგავაძე, თეო ძოწენიძის, ე. სიბილაძისა, პეტრე მახვილაძე, კოსტა ვახტანგაძე, გალინა ფურცხვანიძე, დაფინა სულაქველიძის, პელაგო ფურცხვანიძის, ის. გიორგაძე, ნიკო კეზევაძე, იორდანე გოგიტაძე, პორფ. მარცველაშვილი, მიხაკო კეზევაძე, კოსტა გიორგაძე, გედევან მორჩაძე, ანთიმოს ჭარხალაშვილი, სოლომონ სიბილაძე, ლეონინე ჩირაძე, სტეფანე ბეგალოვი, კოწია სალდაძე, იოსებ ნიშნიანიძე, გედევან ჯავახაძე, გიგო აკოფოვი, სერაპიონ ბოგვერაძე, პართენ ბოგვერაძე, ჭიჭიკო მორჩაძე, კოწია ოჰანეზოვოი, სამსონ ჯავახაძე, გიორგი ჩირაძე, ეროდე დადუნაშვილი, იპოლიტე მორჩაძე, თედორე მორჩაძე, პარმენ მაწკეპლაძე, ბეკო მორჩაძე, ილია გაბადაძე, თადეოზ სალაძე, სპირდონ ევნაძე, ესტატე ფურცხვანიძე, ვასილ მერკვილაძე, ტრიფონ დემეტრაძე, მიხეილ ფურცხვანიძე, პილატე მორჩაძე, ივლიანე დარახველიძე, ერმილე კუხიანიძე, მამედ შუქურ-ოღლი, ბაგრატ ლორთქიფანიძე, სუმბატ დატუსინცი, ნიკიფორე დოლაბერიძე, თამარ დარახველიძისა, ანეტა ყუფარაძე, მაშიკო ყუფარაძე, ონისიმე წიგნაძე, სოლომონ მოდებაძე, ნინო ქუთათელაძე, პასიკო იაშვილი, ანა ერისთავის, ი. პო. გვეტაძეები, ილიკო ცინცაძე, გაბრიელ ბოჭორიშვილი, დომნა ლომთაძე, ევგენია გვეტაძე, მაქსიმე მანაგაძე, შუშანა მღებროვის, სონა გვანცალაძე, კუზანოვი, მჭედლიშვილი, სამსონ ყიფიანი, ვასილ ბერაძე, ჭიჭიკო ბერძნიშვილი, ჯანელიძე, გრიგოლ ძოწენიძე, სერაპიონ ჩირაძე, დონია ნიშნიანიძე, სტეფანე გიორგაძე, ლუბა გიორგაძე, ს. ფიჩხაძე, ტ. ხანანაშვილი, ილიკო ბოდოკია, ნოე დარახველიძე, ა.კაკიტელაშვილი,ლ.პაპულიტი, ს ფიჩხაძე, მ. ჩახოშვილი, მ. ჩახოშვილი, ი. ჩახოშვილი, თ. ფიჩხაძე, თამარ, დ. თეთრუაშვილი, ს. ძოწენიძე, ა. ბინიაშვილი, შ. კაკიტელაშვილი, დ. იაკობიშვილი, ვარლამ [illegible]ელაძე, პავლე არჯევანიძე, გრიშა არჯევანიძე, ივანე ჩირაძე, ვლ. ცავარელი, ბეგლარ ჯანგავაძე, [illegible] ჯანჯაძე, რ. [illegible]შვილი, სიმონ ჯამაშიძე, ვარდენ ფურცხვანიძე, [illegible] კაჭახიძე, [illegible] კაკაბაძე, [illegible] ჩირაძე, სევერიან ბეჟუაშვილი, ალ. კეპულაძე, ივ. ფიფინაშვილი, ალექსი უგრეხელიძე, თადეოზ ვაშაყმაძე, შ. აჩიბაია, ვიქტორ კუხიანიძე, კედია, იასონ წკირპლაძე, გიორგი პიშტოფიდი, ვუკოლ ბერიძე, ქიშვალი ჩახავა, ნოე ალხაზაშვილი, კაპანაძე, სევ. სვანიძე, გ. ცაგარეიშვილი, არჩილ ჯავახაძე, იოსებ იაკობიშვილი, ეზიკოვი, ჩაკვეტაძე, მიხაკო კუტელია, გაბრიელ ფიჩხაძე, ივ. ოჰანეზოვი, კაკაბაძე, პ. ზვიადაძე. პეტრე ერიქოვი, მელიტონ აბდალაძე, აგრაფინ გაგუშიძე, ისხაკ იაკობიშვილი, მინადორ ბუაძე, სევერიან იოსელიანი, მამფორია, ჩხეიძე, იაკოფ კაკიტელაშვილი, იაკოფ ჩირაძე, მარდახ ფიჩხაძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი მერაბიშვილი, ხაიმ ხახანაშვილი, შაბათა პაპიაშვილი, კაკიბა ციციაშვილი, იოსებ ბუზიაშვილი, ძმ. ფიზიცკი, გაბრიელ შამლიკაშვილი, ძმ. იაკობიშვილები, ნოე თავდიდიშვილი, ნიკოლოზ ჯანელიძე, კოწია მელაშვილი, გაბრიელ ჩიკვაშვილი, ისხაკ რიჟინაშვილი, გაბრიელ რიჟინაშვილი, ივანე ჩირაძე, ილიკო ბოჭორიშვილი, მელიტონ ტურაბელიძე, სიმონ ლაღიძე, კირილე ტყაპლაძე, ანდრო გაბუნია, ციციაშვილი, მიხეილ ლევიძე, კოწია ლევიძე, ლადო ლევიძე, არჩილ ასათიანი, გრიგოლ გოლიჯოვ. ლევან აივაზოვი, პეტრე ტალახაძე, ნესტორ ნუცუბიძე, თადეოზ თევზაძე, ნესტორ ზვიადაძე, ნიკოლოზ კერესელიძე, ვლადიმერ მელაძე, იასონ რმანაძე, გაბრიელ ფიჩხაძე ძმებით, ილია ფიჩხაძე, არონ ფიჩხაძე, №№, ისაკ ფიჩხაძე, მიხეილ მოწონაშვილი, შაბათა კაკიტელაშვილი, გრიგოლ არევაზოვი, ეზიკია გუგუთიძე, სალომე ხაზარაძე, რუბენ ელიგულაშვილი, პარმენ ვარდენაძე, აშჩიანცი, სამსონ ხახანაშვილი, რაფიელ რიჟინაშვილი, სერგო ქეიშვილი, სტუბაკოვი, ლაპერიშვილი, ა. შოთაძე, შრომის არტელი „განთიადი“, ნინო წიგნაძე, ვასაძე, ზვიადაძე, „მოდერნ“, კანდელაკი, კაჭკაჭევი, აკაკი მორჩაძე.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ,ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის —	8 ს.	წ.
„	— საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით —	12 ს. 40	„
„	— ღამის —	1 ს.	„
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	საღამოს —	6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს.	„
„	ღამის —	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	— დილის —	7 ს.	„
ფოთისაკენ	— დღისით —	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	— დილით —	5 ს. 20	„

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში